ოქმი:**ო12. 3722315001**

თარიღი:**11/11/2022**

ოქმი № 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 11 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: მარინა ვაშალომიძე - საკრებულოს წევრი
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ნადირაშვილი, ი. თუთბერიძე, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა, მ. ჩხიკვიშვილი, ხ. თავდიშვილი, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მ. ვაშალომიძე

თანამომხსენებელი პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ვაშალომიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი განმარტება გააკეთა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32956,3 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 58,51%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 29595,38 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 48,22%-ია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ, თოჯინების თეატრთან დაკავშირებით, შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა **ხ. ცერცვაძემ**, აღნიშნა, რომ შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში, არის ამორტიზირებული და ოთახებში წვიმა ჩამოდის, ასევე ინვენტარი არის მოძველებული. **ხ. ცერცვაძის** კითხვას გაეცა შესაბამისი პასუხი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხი შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე ცნობად მიღების მიზნით.

მარინა ვაშალომიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი